იესო ქრისტეს სახე ისლამში ყურანისა და ჰადისების ანალიზის შუქზე

სალომე ესებუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

სარჩევი

აბსტრაქტი 3

თავი პირველი 9

იესო ქრისტე ყურანში „ისა ძე მარიამისა“ 9

იესოს ბავშვობა ყურანისა და თომას სახარების მიხედვით 15

იესოს, როგორც წინასწარმეტყველის მისია 17

იესო, როგორც „ღმერთის სიტყვა“ 24

იესო, როგორც „ღმერთის სული“ 27

თავი მეორე 29

ისლამის შეხედულებები წმინდა სამების დოგმატზე 29

თავი მესამე 37

მესიანიზმი ისლამში. იესოს მეორედ მოსვლის მოლოდინი შიიზმში 37

თავი მეოთხე 41

სწამთ თუ არა მუსლიმებსა და ქრისტიანებს ერთი ღმერთი? 47

იესოს სწავლებები ყურანში, ჰადისებსა და სახარებაში 51

დასკვნა 60

ბიბლიოგრაფია 64

აბსტრაქტი

განხორციელებული კვლევა ეხება იესო ქრისტეს პიროვნებას ისლამში. კვლევა მოიცავს იუდაურ, ქრისტიანულ და ისლამურ ნარატივებს. კვლევა ეყრდნობა პირველწყაროებს, ყურანს, ჰადისებსა და ბიბლიას. ასევე გამოყენებულია დამხმარე ლიტერატურა, ავტორიტეტული ავტორების, განმმარტებლებისა და თეოლოგების შრომები, რომელთა ზოგიერთ შეხედულებაზე აგებულია მსჯელობა. კვლევა მოიცავს მაქსიმალურად ობიექტურ ინფორმაციას, მოსაზრებები გამყარებულია არგუმენტებით. კვლევის პრინციპი აგებულია კონცეპტუალურ შეკითხვაზე: ვინ არის იესო ქრისტე ისლამში ? შეკითხვა არის კონკრეტული, ამიტომ, კვლევის დასასრულს ვიღებთ კონკრეტულ პასუხებს დასმულ შეკითხვაზე. ასევე, ზოგიერთ ჭრილში წარმოჩინდება მსგავსებები და განსხვავებები ქრისტიანულ შეხედულებებთან.